

ენათმეცნიერება Linguistic

ფრაზეოლოგიური ერთეულები როგორც ლექსიკური ფონდის
მნიშვნელოვანი ნაწილი

თამარ ალფაიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: tamunaalpaidze@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.01>

SJIF 2024: 8.268

ნაშრომი ეხება ფრაზეოლოგიური ელემენტების მიმოხილვას და მათ როლს სწავლა/სწავლების პროცესში. მიმოხილულია ბევრი საინტერესო მაგალითი, რაც ნათელს ხდის მათი მნიშვნელობის შესწავლის აუცილებელ ასპექტებს. კოგნიტურმა ლინგვისტიკამ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა აღქმის კუთხით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. იგი ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნის 80-იან წლებში, როგორც ერთგვარი მიმდინარეობა ენის იმანენტიზმის გადალახვის პროცესში. კოგნიტური პარადიგმა იკვლევს და განიხილავს ენას არა როგორც იზოლირებულად არსებულ მოცემულობას, არამედ როგორც კოგნიციის ინტეგრალურ ნაწილს. ფრაზეოლოგიური ერთეულები არის მყარი შესიტყვებები, რომელიც საკუთარ თავში მოიცავს ამ თუ იმ კულტურისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, მის ადათ-წესებს, მსოფლხედვას, ტრადიციებს, რწმენას და ა.შ.

ენის შესწავლის პროცესი წარმოდგენილია, და დაუშვებელიც კი ფრაზეოლოგიური ერთეულების გვერდის ავლით. მათი შესწავლით შესაძლებელია კონკრეტული კულტურის უკეთ შესწავლა და აღქმა. ამას გარდა, ფრაზეოლოგიური ერთეულები მნიშვნელოვნად ზრდიან ენის ლექსიკურ ფონდს და მას უფრო მრავალფეროვანსა და შთამბეჭდავს ხდის. ენისა და კულტურის მჭიდრო ურთერთდამოკიდებულება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ენის ლექსიკურ მარაგზე. არა მხოლოდ კულტურაზე დაკვირვება გვეხმარება ენის შესწავლა/აღქმაში, არამედ ენაც გვეხმარება ზოგიერთი კულტურული ფენომენის ახსნაშიც. ფრაზეოლოგია ჩამოყალიბდა ლექსიკოლოგიის ფარგლებში და ამჟამად იგი დამოუკიდებელ დისციპლინადაა დამკვიდრებული. ფრაზეოლოგიური ერთეულები წარმოქმნილია თავისუფალი სიტყვაშეთანხმებებისგან და სტრუქტურულად მათ ეთანხმებიან. შინაგანი ფორმა არის ფრაზეოლოგიური ერთეულის მოტივირებული მნიშვნელობა. თუმცა თანამედროვე ენაში

შინაგანი ფორმა შეიძლება იყოს არამოტივირებულიც. ფრაზეოლოგიური ერთეულები თავიანთი შინაგანი ბუნებით მნიშვნელოვან მსგავსებას ამჟღავნებენ სიტყვებთან: ისინი იწარმოებიან საუბარში და გააჩნიათ მთელი კონსტრუქციისთვის დამახასიათებელი მნიშვნელობა, შეესაბამებიან ამა თუ იმ მეტყველების ნაწილს, ასრულებენ წინადადების წევრის ფუნქციას და აღენიშნებათ სტილისტური მარკირება.

საკვანძო სიტყვები: ფრაზეოლოგიური ერთეულები, ლექსიკური ფონდი

XX საუკუნის დასაწყისში მეცნიერებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ე.წ. მყარ შესიტყვებებს, რომლებიც განსაკუთრებული მხატვრობითა და ექსპრესიულობით გამოირჩევა. ფრაზეოლოგია (ბერძ. φρασεολογία) — არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის მყარ შესიტყვებებს, მათ წარმოშობა-განვითარებასა და ფუნქციონირებას ენის სისტემაში.

რა ტიპის სიახლე შემოიტანა კოგნიტურმა ლინგვისტიკამ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა აღქმის კუთხით? იმისთვის რომ ამ კითხვას გაეცეს პასუხი, საჭიროა მიმოვიხილოთ კოგნიტური ლინგვისტიკის განვითარების ზოგიერთი საკითხი. იგი ჩამოყალიბდა XX საუკუნის 80-იან წლებში, როგორც ერთგვარი პროტესტი ენის იმანენტიზმის წინააღმდეგ. რა არის კოგნიტური პარადიგმა? კოგნიტური პარადიგმა იკვლევს და განიხილავს ენას არა როგორც იზოლირებულად არსებულ მოცემულობას, არამედ როგორც კოგნიციის ინტეგრალურ ნაწილს.

ფრაზეოლოგიის ფუძემდებლად მიიჩნევა ფრანგი ლინგვისტი შარლ ბალი (Bally 1909), რომელიც ფრაზეოლოგიურ ერთეულებს განიხილავდა სემასიოლოგიური თვალსაზრისით და გამოყო შემდეგი ოთხი ჯგუფი: ა) თავისუფალი შესიტყვებანი;

ბ) ჩვეულებრივი შესიტყვებანი; გ) ფრაზეოლოგიური რიგები; დ) ფრაზეოლოგიური ერთიანობანი.

ინგლისური ფრაზეოლოგიის ფუძემდებლად შეიძლება ჩავთვალოთ ლ. სმითი (Smith 1923-1925), რომელიც ცდილობდა იდიომური გამოთქმების ეტიმოლოგიური საფუძვლის ახსნას.

ა.ვ.კუნიინის (Кунин, 1970) ინგლისური ფრაზეოლოგიური ერთეულების ოთხ სტრუქტურულ ჯგუფს გამოყოფს:

1. ფრაზეოლოგიური ერთეულები რომლებიც არსებით სახელს შეიცავენ. “heart of gold“

2. ფრაზეოლოგიური ერთეულები რომლებიც ზმნას შეიცავენ. ”Hit the hay” - go to bed or to go to sleep.

3. ფრაზეოლოგიური ერთეულები რომლებიც ზედსართავ სახელებს შეიცავენ. “as drunk as a fish“ - უგონოდ მთვრალი.

4. ფრაზეოლოგიური ერთეულები რომლებიც ზმნიზედას შეიცავენ. “by hook or by crook“ - ნებით თუ ძალით.

სემანტიკური თვალსაზრისით კი, ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ოთხ ჯგუფად ჰყოფს:

1. ნომინაციური ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც საგანს ან მოვლენას აღნიშნავენ. “piece of cake “ - ძალიან მარტივი.

2. ნომინაციურ-კომუნიკაციური ფრაზეოლოგიური ერთეულები. „Eat to nourish your body, not to feed your cravings“.

3. კომუნიკაციური ფრაზეოლოგიური ერთეულები. “break the ice“; “give me a hand“.

4. ფრაზეოლოგიური ერთეულები შორისდებულის ფუნქციით. Oh, my eye!“ - ღმერთო ჩემო, ღვთის გულისათვის.

ფრაზეოლოგიზმები ხატოვანი ენობრივი საშუალებებია. მაგ:

white elephant - a term used to describe something costly to maintain or difficult to sell because it's impractical or unnecessary.

- **a light purse is a heavy curse** - life is difficult when you don't have money

- **kill the goose that lays the golden eggs** - if someone kills the goose that lays the golden eggs, they harm or destroy the person that gives them their money, power, or advantage.

ა.ვ. კუნინი (Кунин, 1985) ფრაზეოლოგიზმებს მათი წარმოშობის მიხედვით სამ მთავარ ჯგუფად ყოფს:

1) *უძველესი ინგლისური ფრაზეოლოგიური ერთეულები*: ესენია ერთეულები რომლებიც ინგლისელმა ხალხმა შექმნა. მათში თავმოყრილია ინგლისელი ხალხის ტრადიციები, ისტორიული მოვლენები, წეს-ჩვეულებები, ცრურწმენები და მათი ცხოვრებისეული მახასიათებლები.

მაგალითად: “**to sit above the salt**“ - საზოგადოებაში მაღალი ადგილის დაკავება; “**to sit below the salt**“ - საზოგადოებაში მოკრძალებული პოზიციის ქონა. (ძველი ინგლისური ჩვეულების მიხედვით, სამარილეს მაგიდის შუაში დგამდნენ. ცნობილი, გამოჩენილი სტუმრები სხდებოდნენ მაგიდის თავში, ღარიბი სტუმრები კი - მაგიდის ბოლოში).

2) *სხვადასხვა უცხო ენიდან შემოსული ფრაზეოლოგიური ერთეულები*

3) *ამერიკული წარმოშობის ფრაზეოლოგიური ერთეულები*.

A death head(skeleton) at the feast-ნიშნავს პიროვნებას, რომელიც თავისი განწყობით წამლავს მხიარულ სიტუაციას. ძველ ეგვიპტეში არსებული წესის მიხედვით ღვინის დროს თვალსაჩინო ადგილზე დგამდნენ ადამიანის ჩონჩხს, რომელიც სტუმრებს ერთთავად სიკვდილს აგონებდა.

Life is not a bed of roses-ეს გამონათქვამი აღმოცენდა რომაელ მდიდართა ჩვეულებიდან, რომლებიც საკუთარ ღოჭებს ვარდის ფურცლებით ჰფენდნენ.

Catch (seize, take) time (occasion, opportunity) by the forelock-ისარგებლო შემთხვევით, მომენტით, უქმად არ დაკარგო დრო. ინგლისში დღესაც მიღებულია დროის გამოხატვა მელოტი მოხუცის სახით, შუბლზე ჩამოყრილი თმის კულულით. ამგვარად ფრაზეოლოგიზმები მეტად მდიდარ ინფორმაციას შეიცავენ.

ხალხური ეტიმოლოგია წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაწილს ფრაზეოლოგიის განვითარების პროცესში. მაგალითად:

1) “to blow one’s own trumpet” = საკუთარი თავის ქებით იყო დაკავებული. ამ ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობა მომდინარეობს შუა საუკუნეებიდან, როცა ტურნირებში მონაწილე ცნობილ პირებსა და რაინდებს საყვირებით ხვდებოდნენ.

2) “to cut somebody off with a shilling” = დატოვო ვინმე მემკვიდრეობის გარეშე. საინტერესოა ამ ფრაზეოლოგიური ერთეულის წარმოშობის ისტორიაც. ანდერძის დამტოვებლები ხშირად მემკვიდრეებს მემკვიდრეობის გარეშე ტოვებდნენ და უტოვებდნენ ერთ შილინგს ნიშნად იმისა, რომ მემკვიდრის ქონების გარეშე დატოვება წინასწარ იყო განზრახული.

3) “to carry coals to Newcastle” = ნახშირის ნიუკასლში წადება, ანუ იქ, სადაც ის უხვი რაოდენობითაა. ნიუკასლი არის ქვანახშირის წარმოების ცენტრი.

გვარებთან და სახელებთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები.

1) “Big Ben” = დიდი ბენი. ეს არის ინგლისში ცნობილი საათის სახელი, რომელიც ინგლისის პარლამენტის შენობაზეა. (საათს ეს სახელი ეწოდა ბენჟამენ ჰოლის საპატივსაცემოდ, რომლის მეშვეობითაც გაკეთდა აღნიშნული საათი).

3) “a Joe Miller” = ძველი ხუმრობა, გაცვეთილი ანეგდოტი. (ჯოზეფ მილერმა გამოსცა პირველი ხუმრობების კრებული ინგლისში. 1684 - 1738).

ისტორიულ ფაქტებთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები:

“The three tailors of Tooley street” = სამი მკერავი ტულის ქუჩიდან = მცირე ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც თავს მთელი თავიანთი ერის წარმომადგენლებად თვლიან. ინგლისის ისტორიიდან ცნობილია, რომ ინგლისის პარლამენტს პეტიციით მიმართა სამმა მკერავმა ტულის ქუჩიდან. მათი მიმართვა იწყებოდა სიტყვებით: “We, the people of England” ... - ჩვენ ინგლისელი ხალხი...

სპორტული თემატიკის ფრაზეოლოგიზმები:

1) “get to first base” = პირველი ნაბიჯის გადადგმა რაიმე საქმეში. გამოთქმა მომდინარეობს ბეისბოლის თამაშიდან.

2) “neck and neck” = თანაბარ მდგომარეობაში. გამოთქმა მომდინარეობს დოლიდან, როდესაც ორი ცხენი თანაბრად გარბის, თავები თანაბრად უჭირავთ.

ცრუ რწმენასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები:

1) “a black sheep“ = ოჯახის შემარცხვენი. ძველად სწამდათ, რომ შავი ცხვარი ეშმაკის დამლით იყო დანიშნული.

2) “a crooked sixpence“ = თილისმა; ნივთი, რომელსაც მფლობელისათვის ბედნიერება მოაქვს. ძველი ინგლისური რწმენის თანახმად, მფლობელისათვის წარმატება მოაქვს მოხრილ ექვსპენსიანს.

ა. ვ. კუნიჩის (Кунин, 1985) კვლევებში აღნიშნულია, რომ ინგლისურ ენაში ფრაზეოლოგიური ერთეულების რიცხოვრივი გამოყენების თვალსაზრისით ბიბლიის შემდეგ მეორე ადგილზეა უილიამ შექსპირის შემოქმედება.

1) “A fool’s paradise“ (Romeo and Juliet) - მოჩვენებითი ბედნიერება.

2) “Give the devil his due“ (King Henry V) -სამაგიეროს გადახდა

3) “Eat somebody out of house and home“ (King Henry IV) - ადამიანის გაკოტრება მის ხარჯზე ცხოვრებით.

4) Love is blind – (The Merchant of Venice) სიყვარული ბრმაა

შექსპირის გარდა კიდევ ბევრმა სხვა მწერალმა შეიტანა წვლილი ენის გამდიდრების საქმეში.მაგ:

“the land of cakes“ - შოტლანდია (რობერტ ბერნსი)

“marriage is a lottery“ - ქორწინება ლატარია (ბენ ჯონსონი)

“(as) cool as a cucumber— წყნარი, უშფოთველი (ჯონ გრეი).

“a gentleman’s gentleman“ - მსახური (დანიელ დეფო)

“a skeleton in the closet“ - დაფარული ოჯახური უსიამოვნება, საიდუმლო(უილიამ თეკერი).

ა.ვ.კუნიჩი (Кунин,1970) ცალკე გამოყოფს ანდაზებს, როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულების დამოუკიდებელ ჯგუფს.

“Two wrongs don't make a right“ - სისხლი სისხლით არ მოიბანებაო.

"When in Rome, do as the Romans" - სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგი ანდაზა განმარტების გარეშე გაუგებარია.

ენა უნიკალური საშუალებაა სამყაროს შეცნობის და ეროვნული კულტურის გამოხატვის პროცესში. მხოლოდ ენა, კულტურა და აზროვნება განსაზღვრავს ეროვნულ თვითმყოფადობას. ეროვნული იდენტობის მახასიათებლები აისახება ფრაზეოლოგიზმებში. მათ ჩამოყალიბებაში კი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეროვნული ხასიათის ექსტრალინგვისტურმა და ეთნოლოგიურმა ფაქტორებმა. ფრაზეოლოგიზმების შესწავლა და გამოყენება მნიშვნელოვანია ენის სწავლა-სწავლების პროცესში, რათა უფრო კარგად და სიღრმისეულად მოხდეს ამა თუ იმ კულტურის შესწავლა.

ლიტერატურა:

1. Смит, Л.П. (1998). “Фразеология английского языка“.
2. Daniel B Smith, English Idioms & Phrases Dictionary 1923-1925
3. Кунин, А. В. (1985) “О порождающем фразеологическом контексте“. Сборник Научных Трудов. Москва.
4. Makkaï, A., Boatner, M. T., Gates, J. E. A Dictionary of American idioms.

Tamari Alpaidze

Akaki Tsereteli State University

e-mail: tamunaalpaidze@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.01>

SJIF 2024: 8.268

Phraseological units as an important constituent of the lexical fund

Abstract

The paper deals with the review of phraseological elements and their role in the learning/teaching process. Many interesting examples are reviewed, which makes clear the necessity of studying their meanings. Cognitive linguistics has played an important role in the perception of phraseological units. It was formed in the 80s of the twentieth century as a kind of approach in the process of overcoming the seclusion of the language. The cognitive paradigm examines and considers language not as an isolated fact, but as an integral part of cognition. Phraseological units are solid utterances that include signs as characteristics of this or that culture, its customs, worldview, traditions, beliefs, etc. The process of learning a language is inconceivable, and even impossible by ignoring phraseological units. By studying them, it is possible to better study and perceive a specific culture. In addition, phraseological units significantly increase the lexical fund of the language and make it more diverse and impressive. The close interdependence of language and culture has a significant impact on the vocabulary of the language. Not only the observation of culture helps us to study/perceive language, but also the language helps us to explain some cultural phenomena. Phraseology was formed within the framework of lexicology and now it is established as an independent discipline, phraseological units are formed from free word agreements and structurally correlate them. The internal form is the motivated meaning of the phraseological unit. However, in the modern language, the internal form can be unmotivated as well. Phraseological units by their internal nature show a significant similarity with words: they are produced in conversation and have characteristic features of the entire construction, correspond to one or another part of speech, perform the function of a member of a sentence and have a stylistic marking.

Key words: Phraseological units, lexical fund

რეკენზენტი: პროფესორი ალენ ბერდიჩევსკი